

აჩაჩვეულებრივი ჩვეულებრივი მეხსიერების მცირე ესკიზები

ს რაჩვეულებრივი ჩვეულებრივი - ალბათ ასეთი შეფასება იქნება სწორი ჩემი ბავშვობის მოგონებების შესაფასებლად. არაჩვეულებრივი – ამ მოგონებების პერსონაჟების გამორჩეული ნიჭის, პიროვნული, მოქალაქეობრივი, პროფესიონალური თვისებების გამო, ჩვეულებრივი ბავშვური აღქმისთვის. ისინი ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ ნათესაეები, ოჯახის ახლობლები და მეგობრები, მეზობლები თუ მასწავლებლები - ყოველდღიურობის ნაწილი იყვნენ.

ბარნოვის ქუჩის 124 ნომერში, სადაც მსახიობების სახლი იყო განთავსებული, კოლორიტული, სიცოცხლით სავსე იყო ჩვენი ეზო. ვფიქრობ, ამ სახლის ბინადრების ჩამონათვალაც საკმარისია წარმოსადგენად იმისა, თუ როგორი სისხლსავსე და ხალისიანი იყო მთელი ჩვენი სამეზობლოს ყოველდღიურობა. ეს სახელებია – მიხეილ თუმანიშვილი, სესილია თაყაიშვილი, ეროსი მანჯგალაძე, მედეა ჯგფარიძე და რევაზ თაბუკაშვილი, მედეა ჩახავა და კოტე მახარაძე, დალი მაცაბერიძე, ვახტანგ ფალიაშვილი, ელიზბარ ზედგინიძე, და სხვები. მეხსიერებაში ასევე, ბავშვობის დიდ შთაბეჭდილებად დარჩა მოსამვილის ქუჩის კომპოზიტორების სახლში ხშირი სტუმრობის მოგონებები. კომპოზიტორი რეზო ლალიძე ჩემი ბებიის, მერი ლალიძის მკვიდრი ბიძაშვილი იყო. საღამოობით ტრადიციულ ჩაიზე რეზოსთან იკრიბებოდა მთელი მუსიკალური სამეზობლო ოჯახებით. მოგვიანებით, ასევე ხშირად, მიწვედა სტუმრობა ჩემი მეუღლის ბაბუასთან, გუგული ყიფიანთან.* უკვე მოხუცებული გუგული სიამოვნებით გვიამბობდა თავის ამოუწურავი შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო XX საუკუნის მსოფლიო ვარსკვლავებთან.

* გუგული (აპოლონ) ყიფიანი - სხუადსხვა დროს მ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ადმინისტრატორი, ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, პირველი ქართველი იმპრესარიო.



ღვანან: ანდრო აფაძიძე, უსწობი პიროვნებაა
სხედან: მარცხნივ - ბერბანა გობეჯიშვილის მეუღლე თამარი, მარჯვნივ - მერი ლალიძე

მის საინტერესო მოგონებებს ასმაგად საინტერესოს ხდიდა მისი უნიკალური ფოტოარქივი.

არ შემოძლია არ აღვნიშნო, უნივერსიტეტში გატარებული წლების მოგონებები, ლექციები და ურთიერთობა ისეთ მეცნიერებთან, როგორებიც იყვნენ გიორგი მელიქიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, გივი ჟორდანიანი, ნოდარ შოშიაშვილი, დევი კაციტაძე. შემდგომში პროფესიონალიზმისა და ადამიანობის დიდი სკოლა იყო ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად თბილი, მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა ისეთ ადამიანებთან, როგორებიც იყვნენ მანანა ქიქოძე, ანა ბაქრაძე, დარეჯან მეგრელიძე, მანანა ხიდაშელი, ნანა ხაზარაძე, დევი ბერძენიშვილი, დავით მუსხელიშვილი, ანრი ბოგვერაძე, ქეკელი ჩხატარაიშვილი, ანდრო ლეკიაშვილი. მათი გამორჩეულობა, განსაკუთრებულობა და არაჩვეულებრივობა ჩემთვის თვალნათელი მხოლოდ წლების შემდგომ გახდა.

ასეთივე „ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი“ იყო ჩემთვის ანდრია (ანდრო) აფაქიძე. ის კიდევ უფრო მეტად „ჩვეულებრივი“ იყო სიახლოვის გამო, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენი.

ანდრია (ანდრო) აფაქიძე ბავშვობის ჯადოსნურ სამყაროსთან, უდიდეს სიტბოსთან და სიყვარულთანაა ასოცირებული. ის ჩემთვის უძვირფასესი ადამიანების, პროფესიით ისტორიკოსების – ბების, მერი ლალიძისა და ბაბუის, იური კაჭარავას* განუყრელი და უახლოესი მეგობარი იყო. ამდენად, ჩემთვის „ანდრო ბაბუა“ ჩემი ბავშვობის მშვიდი, უთბილესი მოგონებების ნაწილია.

ანდროს და ბებია-ბაბუის ასევე უახლოესი მეგობარი იყო გერმანე გობეჯიშვილი. თვით გერმანე გობეჯიშვილი ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, მაკაფიოდ მახსოვს მისი გარდაცვალების დღე, უფრო სწორად კი, ჩემების მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მძიმე ემოცია.

ანდრო აფაქიძეს ბებია სულ ანდროდ, ბაბუა - ანდრიად მოიხსენიებდა. მიუხედავად მათი განსაკუთრებული სიახლოვისა, საოცრად დარბაისლური ზრდილობიანობით გამორჩეული იყო მათ შორის არსებული ურთიერთობის ფორმა. საზოგადოებაში ანდრო და ბაბუა ერთმანეთს აუცილებლად ბატონობით მიმართავდნენ, რაც ძალიან მაკვირვებდა. ხშირად იყო ბებიას სატელეფონო ზარი „ანდრო, კარგი სადღიო მაქვს, დღეს შემოგვიარე“, ბაბუას „ბაჭებმა გამომიარეს“ და სადღის შემდეგ ტრადიციული მოციონი ვაკის პარკში და ჭადრაკი პარკის ტალავერში. სიცივეების დადგომისას ჭადრაკის პარტიები ჩვენთან სახლში ინაცვლებ-

* ბებია - მერი (მარიაშ) ლალიძე, ივ. ჯავახიშვილის, ბაბუა - იური კაჭარავა, ნ. ბერძენიშვილის ასპირანტები იყვნენ

და. ხშირად გვესტუმრობდა შესანიშნავი ისტორიკოსი, გივი ჟორდანიას. დღესაც ყურში ჩამეხმის მისი „არა გენცვა, კი გენცვა“. სადილის შემდეგ ბაბუა მაგარ ჩაის აყენებდა (ამ რიტუალს არავის ანდობდა), კერცხლის სადგამიან ბროლის ჭიქებში ასხამდა და სალამო ჭადრაკითა და საუბრებით სრულდებოდა.

მე და ჩემი და – ნინო, იმავე სასტუმრო ოთახში, ხალიჩაზე ვთამაშობდით. ალბათ ამ თამაშით ვანუხებდით კიდევ. მაგრამ არ მახსოვს თუნდაც ერთი შენიშვნა, ან ჩვენი იქ ყოფნით უქმყოფილება გამოეხატათ. ცოტა წამოზრდილებს, ოთახში შესვლისას ანდრო, ამ ხნის კაცი აუცილებლად ფეხზე წამოდგომით, ქუჩაში შეხვედრისას კი ქუდის მოხდითა და თავის დაკვრით გვესალმებოდა.

ბავშვობის ერთ-ერთ მკაფიო მოგონებად ჩამჩა საბჭოთა დღესასწაულებთან დაკავშირებული ალღუმი, ე.წ. „პარადი“. ცხადია, თვით ეს ღონისძიება ნაკლებად მაინტერესებდა, ჩემთვის მიმზიდველი იყო იმდენად, რამდენადაც ამ დღეებში ბოშა ქალები, მამინ დეფიციტურ სალუჭუნინსა და ფერად, ჭრელ-ჭრელ ხელნაკეთ ბურთებს ჰყიდდნენ. ეს ფოტოებიც სწორედ ერთ-ერთ ასეთ, ჩაცმულობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ 7 ნოემბრის ალღუმზეა გადაღებული.

ჩემს მიერ მოწონებული პირველი პროფესია არქეოლოგობა იყო. ბებიაშ ჩემი სურვილი ანდროს გაანდო და რჩევა სთხოვა, რა შეეურჩიო წასაკითხად. ანდრომ მაშინვე მოუჭრა - ქალისთვის ძალიან რთულია და გადააფიქრებინეთ როგორმე... ასევე, მოგვიანებით, სხვა მიზეზით, პარმენ (ნაპო) ზაქარაიას რჩევით უარი მათქმეინეს ხელოვნებათმცოდნის პროფესიაზე.

გავა დრო, უკვე როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტს, შემდგომში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, არაერთი საქმიანი შეხვედრა მექნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში აკადემიკოს ანდრია ავალიძესთან.

ჩვენი ყველა ეს შეხვედრა ტოლ-სწორის, კოლეგიალობითა და სერიოზულობით გამოჩნეული შეხვედრა იყო. ყველა ამ შეხვედრისას სადღაც ქრებოდა ჩვენს შორის არსებული სიახლოვის ისტორია. ცოტა მწყინდა კიდევ ასეთი ოფიციალურობა.

გერმანე გობეჯიშვილის ადრეული გარდაცვალების შემდგომ, მათ სამეგობროს პირველი ბაბუა გამოაკლდა. შემოგვთავაზეს მისი საბურთალოს პანთეონში დაკრძალვა, რაზეც უარი ვთქვით. ჩვენს გადანყვეტილებას ბებია შეენინა აღმდეგა, არგუმენტი - ანდროსაც იქ დაკრძალავენ და ერთად ვიქნებითო.



ანდრონ ავთიიძე, იური კავარავა, მანია ღრეხაძე და მე - ვას კავარავა

მომდევნო ბებია იყო. არასოდეს დამავიწყდება სასაფლაოზე ოჯახის წევრებთან ერთად, მოკრძალებით, უხმოდ მდგომი, უკვე თვითონაც ძალიან მოტიხილი ანდრო. უკანასკნელი ვინც ბებიას თვალცრემლიანი, უხმოდ დაემშვიდობა და შუბლზე ამბორით იმქვეყნად გაისტუმრა ანდრია აფაქიძე იყო. ეს კადრი დღესაც თვალწინ მიდგას... რატომღაც, სწორედ მაშინ მივხვდი, რატომ ხდებოდა ჩვენი ურთიერთობის ფორმა მეცნიერებათა აკადემიის კედლებში ასეთი ოფიციალური. მისი ჩემდამი დამოკიდებულება ჩემს ზრდასრულობასა და პასუხისმგებლობას მიმანიშნებდა. სწორედ ასეთი ხასიათის, არაფამილიარული დამოკიდებულება იყო ყველაზე დიდი მანიშნი იმ დიდი სიახლოვისა, რაც მას ჩემი ოჯახისადმი გააჩნდა. ეს ურთიერთობა თავისებური აღზრდის, პიროვნებად ჩამოყალიბების შინა აკადემია იყო.

ელენა

შემთხვევითი აღმოჩენა ელენას და ჩემი შეხვედრა

2019 წლის ზამთრის მზიანი, ჩვეულებრივი სამუშაო დღე იდგა. ანდრისადმი მიძღვნილი, საიუბილეო პუბლიკაციის შემდგენელი, ეკა თაბუკაშვილი, პუბლიკაციის დაგეგმვის თაობაზე ხმამაღლა მსჯელობს. მეც მცხეთისადმი მიძღვნილი კონფერენციის დაგეგმვის პროცესში ვარ. განვიხილავთ პოტენციურ ავტორებს, როგორც მემუარული გამოცემისთვის, ისე ჩვენი ტრადიციული კონფერენციისა და კონფერენციის ამსახველი სამეცნიერო კრებული-სათვის.

– ახლა დუდანაც მოვა... ამბობს ეკა.

სახელი „დუდანა“ არც ისე ხშირია, დუდანა ანდრო აფაქიძის მეუღლეს ერქვა. ამ სახელის გაგონებაზე გონებაში უამრავი, ნაკლებად მკაფიო და მკაფიო მოგონება ტივტივდება. პირველ რიგში ივლისის სიცხე, ბებიას საზაფხულო, დაჩითული ქოლგა და წყნეთის სურნელი, აფაქიძეების წყნეთის აგარაკი, ბუნდოვანი სილუეტები...

ანდრო აფაქიძის შვილიშვილს, დღეს უკვე ცნობილსა და წარმატებულ, შესანიშნავ პიანისტს დუდანა მაზმანიშვილს ბებიის სახელი ჰქვია. დუდანა ჩემზე ბევრად უმცროსია და ჩვენი ოჯახების სიახლოვის მიუხედავად, ასაკობრივი სხვაობის გამო ურთიერთობა არ გვექონია. თუმცა ჩვენების სიახლოვის



დუდანა მახმანშვილი, ანდრია აფაქიძის შილიშვილი. აფაქიძეების ნიქისა და გენის ღირსეული გამგრძელებელი

შესახებ ვიცით ორივემ, მეც და დუდანამაც. მიჭირს ჩვენი შეხვედრის უხმო ემოციის გამოხატვა. ალბათ ზედმეტიცაა. სწორედ ამ შეხვედრამ გადანყვიტა მცხეთისადმი მიძღვნილი, კონფერენციის დახურვის ღონისძიებაზე დუდანას მონაწილეობა.

საგურამოში თადეოზ გურამიშვილის მარანში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების ინიცირებული ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ დახურვა. სამეცნიერო კონფერენცია მცხეთისა და მცხეთის მუზეუმისადმი იყო მიძღვნილი. საკონფერენციო თემატიკიდან გამომდინარე, ცხადია, ანდრია აფაქიძე, როგორც დიდი მცხეთის მკვლევარი არაერთგზის იყო ნახსენები.

ადამიანის არსებობის უმთავრესი საზრისი ამქვეყნად ღირსეული მემკვიდრეობის დატოვებაა. ანდრია (ანდრო) აფაქიძე ის ადამიანია, ვინც ამ უმთავრესს თავი ღირსეულად გაართვა და ისტორიულ მემკვიდრეობაში ზნეობრივ მაგალითად, ქვეყნისა და საქმის პატრიოტად დარჩა.